

შ.პ.ს. „ჯორჯიან უოთერ ენდ შაუერო“

განცხადების რეგისტრაციის ფურცელი

განცხადების № 010008 /04

თარიღი: 24.10.11

კონსულტანტი:

გთხოვთ შეინახოთ რეგისტრაციის ქვითარი

170

168, 69, 70

ფლოს გარემოს დაცვის მინისტრს
ის ზედამხედველობის სამსახურის
უფროსს

ბატონო გოგა,

ააიპ “უსაფრთხო სივრცე” ანხორციელებს პროექტს “თბილისის ეკოლოგია”
“აღმოსავლეთ დასავლეთ მართვის ინსტიტუტისა” და ფონდ “ღია საზოგადოება
საქართველოს” მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში სს “გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენისა და
სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს” დაუკვეთეთ
“თბილისის ზღვის” წყლის სანიტარული მდგომარეობის დადგენა, მათ მიერ 2011
წლის 4 ოქტომბერს ჩატარდა “თბილისის ზღვის” წყლის სანიტარული კვლევა,
რამაც აჩვენა ძალზედ ცუდი შედეგი. კერძოდ:

“თბილისის ზღვის” დასავლეთ ნაპირზე (დევნისების დასახლება) აღებული
წყლის სინჯის ექსპერტული დამუშავების შედეგები საგანგაშოდ სავალალოა.
მიღებული შედეგები არ პასუხობს იმ ნორმატიულ მოთხოვნებს რაც
დადგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს 297/ნ ბრძანებით “გარემოს ხარისხობრივი
მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ”.

“თბილისის ზღვა” თავისი სტრატეგიული დანიშნულების გამო წარმოადგენს
სახელმწიფო დაცვის სპეციალურ ზონას, თუმცა შესაბამისი ორგანოების მიერ
არ მიღებულა ასეთი ზონის დაცვისთვის აუცილებელი ზომები. მისი მიმდებარე
ტერიტორიას, ქ.თბილისის საკრებულოს მიერ 2009 წლის 4 ივნისის №14
გადაწყვეტილებით (დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური
გეგმა) მინიჭებული აქვს სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსი, რაც მისი
დაცვისთვის განსხვავებული ზომების გატარებას გულისხმობს. “ზღვის” წყალს
ქ.თბილისის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი იყენებს სასმელად, რომლის
მიმდებარედაც საქართველოს კანონის “წყლის შესახებ” უნდა მოქმედებდეს
სანიტარული დაცვის ზონის პირველი სარტყელი (მკაცრი რეჟიმის ზონა).

“ზღვაში” სისტემატურად ხდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებოდ მოხმარებული
წყლისა და ფეკალური მასის პირდაპირ, ღია საკანალიზაციო სისტემით, ზღვის
ნაპირზე მდებარე სიმიანდის ყანების მორწყვის შემდეგ, ჩადინება.

169



თბილისის მერია

TBILISI.GOV.GE

ქ. მარტავას ქ. №7

293 11.11-1305

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმების შესაბამისად “დაბინძურების ზომიერი ხარისხი ადასტურებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო წყალმომარების წყლის ობიექტის საშიშროებას მოსახლეობისთვის.” ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ:

გამოველინოთ ის თანამდებობის პირები რომელთა უმოქმედობამაც გამოიწვია დამდგარი შედეგი:

დანართი: დასკვნა №163/01.09

ააიპ “უსაფრთხო სივრცის”

თავმჯდომარე:

/ა.გაბრიაძე/

№68 27.10.11
[Handwritten signature]